შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი 07 დეკემბერი 2016 წელი

2016 წლის 07 დეკემბერს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

უკლება მაია - გთსუ-ის რექტორის მოადგილე, პროფესორი.

კომისიის წევრები:

1. ხუჭუა ვაჟა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
2. ფიცხელაური შენგელი - გთსუ-ის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
3. ვეკუა მარინე - გთსუ-ის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
4. ალადაშვილი გელა - გთსუ - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

კომისიის მდივანი:

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთსუ-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. მაია უკლება, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტებთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ მაია უკლებას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. მაია უკლებამ აღნიშნა, რომ შპს გთსუ-ის რექტორის მიერ 2016 წლის 10 ოქტომბრის გამოცემული ბრძანების (#01-01/78) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე. კონკურსის დღე - 2016 წლის 07 დეკემბერი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2016 წლის 13 დეკემბერს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „ახალი განათლება“ 13.10.2016წ.-19.10.2016წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 3 კაცით (ბიზნესის მართვის კათედრა - 1 ასოცირებული პროფესორი; ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა - 1 ასოცირებული პროფესორი; საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა - 1 ასოცირებული პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 3 კანდიდატმა.

კანდიდატების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 3 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია უკლებამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. **ბ-ნი მამუკა თორია,** რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე (ბიზნესის მართვის კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ბატონი მამუკა 1994 წლიდან ეწევა სამეცნიერო - პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2003 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში მარკეტინგის კათედრის დოცენტად. წლების განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის მთავრობაში

ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. ხოლო 2012 წლიდან დაინიშნა შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. 2012 წლიდან დღემდე ასევე გახლავთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მას გამოქვეყნებული აქვს 34 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 სახელმძღვანელო, 2 მონოგრაფია, 2 ლექციების კურსი. მისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

2. **ბ-ნი დავით კბილაძე,** რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე (ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ბატონი დავითი 1975 წლიდან აქტიურად მუშაობდა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე, ასევე სტატისტიკის კათედრის მასწავლებლად, სტატისტიკის კათედრის დოცენტად და ასოცირებულ პროფესორად. 2012 წლიდან დღემდე დანიშნულია შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, ასევე სდასუ-ს ასოცირებულ პროფესორად. მას გამოქვეყნებული აქვს 63 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 8 სახელმძღვანელო, 5 მონოგრაფია. დოკუმენტაცია სრულყოფილია, მასში მოცემული ინფორმაცია კი სანდო. მისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

3. **ქ-ნი ელისო კერესელიძე,** რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ქალბატონი ელისო 1987 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2009 წლიდან იგი გახლავთ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2012 წლიდან დღემდე შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში არჩეულ იქნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სემინარებსა და ტრეინინგებში. მას გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო ნაშრომი. დოკუმენტაცია სრულყოფილია, მასში მოცემული ინფორმაცია კი რელევანტური. მისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

კონკურსანტებს დაესვათ კითხვები უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მათი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატების საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტები:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

<u>ბიზნესის მართვის კათედრა:</u>

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

მამუკა თორია

<u>ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა:</u>

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

დავით კბილაძე

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

<u>საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა:</u>

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

ელისო კერესელიძე

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;

4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (08, 09, 12 დეკემბერი)

5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2016 წლის 13 დეკემბერს.

კომისიის თავმჯდომარე:	პროფ. მაია უკლება
კომისიის წევრები:	პროფ. ვაჟა ხუჭუა
	პროფ. შენგელი ფიცხელაური
	პროფ. მარინე ვეკუა
	პროფ. გელა ალადაშვილი
მდივანი:	ქეთევან დევდარიანი